რა ღირს საზოგადოებრივი მაუწყებელი?

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

რა ღირს საზოგადოებრივი მაუწყებელი?

თბილისი
2018

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ავტორი: **მარიამ გოგოსაშვილი**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **სულხან სალაძე**

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© 2018, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 4

ძირითადი მიგნებები 4

საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსების წყაროები 4

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი და
განხორციელებული ცვლილებები 5

დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება
საზოგადოებრივ მაუწყებელში 6

2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგი 7

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტები 9

2018 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობა 10

შეჯამება 20

შესავალი

2018 წლის 5 მარტიდან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ამოქმედდა ნორმები, რომელთა თანახმად, საზოგადოებრივ მაუწყებელში გაიზარდა კომერციული და სასპონსორო რეკლამის განთავსების დრო. აღნიშნული, რა თქმა უნდა, თავად საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის დამატებითი შემოსავლის მომტანია, თუმცა – სხვა კომერციული მაუწყებლების შემოსავლების ხარჯზე.

წინამდებარე კვლევაში მიმოხილული იქნება, რამდენად საჭიროებს საზოგადოებრივი მაუწყებელი დამატებით შემოსავლებს და როგორ განკარგავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს.

ასევე, წარმოდგენილი იქნება მოკლე ინფორმაცია, რამდენად ეფექტურად მუშაობს სამეურვეო საბჭო და როგორ იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ძირითადი მიგნებები

- სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს იღებს და მასში ცვლილებებს ახორციელებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორისგან დეტალური ბიუჯეტისა და დასაბუთების მიღების გარეშე;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი შრომით ანაზღაურებაზე იხარჯება;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ფინანსთა სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესადგენად წარდგენილი მონაცემები – მომუშავეთა რიცხოვნობა და შრომის ანაზღაურება – არ არის ზუსტი და საჭიროებს გადამოწმებას;
- საზოგადოებრივ მაუწყებელს არ აქვს დამტკიცებული საშტატო განრიგი და შრომის ანაზღაურების განმსაზღვრელი წესი.
- საზოგადოებრივი მაუწყებელი, შემოსავლების (სახელმწიფოს დაფინანსების ხარჯზე) მხრივ, პირველ ადგილზეა, მაშინ, როდესაც წლიური (2017) საშუალო რეიტინგით მხოლოდ მეოთხე ადგილს იკავებს;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018 წლის პროექტები მაღალბიუჯეტიანია;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდზე არ დევს და არც მოთხოვნის შემთხვევაში არ გასცემს სათანადო ინფორმაციას ბიუჯეტების შესახებ;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგში არ არის განსახილველი საკითხების სრულყოფილი ჩამონათვალი;
- საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, ხშირ შემთხვევაში, სხვა დაწესებულებებისთვის გამოყოფილ თანხებზე გაცილებით დიდია, თუმცა, არ ხდება მაუწყებლის საქმიანობის ეფექტურობისა და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების გაზომვა.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსების წყაროები

დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ოდენობაა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0,14%.[1]

სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის თანხის გამოყოფა ხორციელდება, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, გადაცემების, მათ შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების მომზადებისა და მათი გაშუქების უზრუნველყოფის მიზნით.[2]

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 52 522 000 ლარს შეადგენს, საიდანაც 7 879 000 ლარი საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის გათვალისწინებული თანხაა.[3] ეს უკანასკნელი ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყე-

[1] „მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[2] „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 8.3. პუნქტი.

[3] „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლი, კოდი 42 00.

ბლის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ით.[4]

საერთო ჯამში, 2018 წელს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი 50 255 577 ლარია, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 44 643 000 ლარს, ხოლო არასახელმწიფო დაფინანსება – 5 612 577 ლარს.[5]

2017 წელს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელმწიფო ბიუჯეტი 46 377 418 ლარს შეადგენდა, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა 39 443 000 ლარი იყო, ხოლო სხვა დაფინანსება – 6 934 418 ლარი.[6]

2016 წელს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელმწიფო ბიუჯეტი 43 285 395 ლარს შეადგენდა, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა – 37 484 000, სხვა დაფინანსება კი – 5 800 395 ლარი იყო.[7]

	2016	2017	2018
სახელმწიფო დაფინანსება	37 484 000	39 443 000	44 643 000
სხვა	5 800 395	6 934 418	5 612 577
სულ	43 285 395	46 377 418	50 255 577

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი და განხორციელებული ცვლილებები

სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოა და მის ფუნქცია-მოვალეობებს ასევე განეკუთვნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა, საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულების და ბიუჯეტის მიღება, მაუწყებლის საქმიანობის კვარტალური ანგარიშების მოსმენა, ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემა, რომლის ღირებულება აღემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს, საზოგადოებრივი მაუწყებლის საშტატო განრიგისა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება და სხვა.[8]

აღსანიშნავია, რომ სამეურვეო საბჭოს, გარდა „მაუწყებლობის შესახებ" კანონისა, არ აქვს დამტკიცებული რაიმე დოკუმენტი, რომლითაც იხელმძღვანელებს გადაწყვეტილების მიღების დროს. სამეურვეო საბჭოს დღის წესრიგში ბოლო საკითხად მუდმივად მითითებულია „მიმდინარე საკითხები" და მის ფარგლებში ხდება გადაწყვეტილებების მიღება.

სამეურვეო საბჭო, გენერალური დირექტორის წარდგინებით, იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს, აგრეთვე, ბიუჯეტში ცვლილებას და ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.[9]

სამეურვეო საბჭო ბიუჯეტს ისე ამტკიცებს, რომ არ აქვს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორისგან წარდგენილი დეტალური ბიუჯეტი და მისი დასაბუთება. ანალოგიურ მიდგომას აქვს ადგილი ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების დროსაც. იმავდროულად, ცვლილებების განხორციელების დროს არ არის დასაბუთებული, თუ რატომ იყო შეუძლებელი კონკრეტული ფაქტის გათვალისწინება თავდაპირველი ბიუჯეტის მიღების დროს.[10]

სამეურვეო საბჭო „ისმენს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის ყოველკვარტალურ ანგარიშს, მათ შორის, ფინანსურ ანგარიშს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად), კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში."[11] აღნიშნული ანგარიშების მოსმენა ყოველთვის ხდება დაგვიანებით და ამასთან დაკავშირებით სამეურვეო საბჭო ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებს. მაგალითად, 2017 წლის მესამე და მეოთხე კვარტლის ანგარიში საბჭომ მოიხმინა 2018 წლის 29 მარტს. [12]

[4] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35[12] მუხლის პირველი პუნქტი.

[5] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის №403 გადაწყვეტილება.

[6] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეუწვეო საბჭოს 2017 წლის 01 დეკემბრის №397 გადაწყვეტილება.

[7] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 30 დეკემბრის №326 გადაწყვეტილება.

[8] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე და 30-ე მუხლები.

[9] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[10] მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეოს საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის სხდომა - https://1tv.ge/video/sazogadoebrivi-mauwyeblis-sameurveo-sabchos-skhdoma-2-aprili-2018/

[11] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

[12] https://1tv.ge/document/ssip-sazogadoebrivi-mauwyeblis-2017-wlis-iii-kvartlis-angarishi/
https://1tv.ge/document/ssip-sazogadoebrivi-mauwyeblis-2017-wlis-iv-kvartlis-angarishi/

დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება საზოგადოებრივ მაუწყებელში

„სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს თავად საზოგადოებრივი მაუწყებელი.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში მითითებულია, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში (მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში) დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნობა, 2016 წლიდან მოყოლებული, 184-ია და 2018 წელსაც იგივე რაოდენობა იქნება. ფინანსთა სამინისტროდან მოწოდებულ ინფორმაციაში[13] – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილ საბიუჯეტო განაცხადში მითითებულია, რომ სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელში 2018 წელს მომუშავეთა რიცხოვნობა – 122, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა – 1000 იქნება. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გამოთხოვნილ დოკუმენტში (საბიუჯეტო განაცხადში, რომელიც გადაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს) საერთოდ არ არის მითითებული მაუწყებელში 2018 წელს დასაქმებულთა და შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა.[14] უფრო მეტიც, ამ დრომდე საზოგადოებრივ მაუწყებელს არ აქვს დამტკიცებული საშტატო განრიგი და შრომის ანაზღაურების განმსაზღვრელი წესი.

საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მოწოდებული ინფორმაცია

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2018 წლის დამტკიცებული გეგმა				
		სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი	საკუთარი სახსრები
42 01 01	**სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი**	**44,643.00**	**44,643.00**	**0.00**	**0.00**	**3,773.00**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	ხარჯები	38,293.00	38,293.00	0.00	0.00	780.00
	შრომის ანაზღაურება	2,770.00	2,770.00	0.00	0.00	0.00
	ხელფასები	2,770.00	2,770.00	0.00	0.00	0.00
	ხელფასები ფულადი ფორმით	2,770.00	2,770.00	0.00	0.00	0.00
	თანამდებობრივი სარგო	2,252.07	2,252.07	0.00	0.00	0.00
	პრემია	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	ჰონორარი	517.93	517.93	0.00	0.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	33,093.00	33,093.00	0.00	0.00	570.00
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	17,925.00	17,925.00	0.00	0.00	50.00

საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაცია

42 01 01	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი	43 661,0	43 661,0	3 773,0	43 661,0	43 661,0	3 773,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	122,0	122,0	0,0	122,0	122,0	0,0
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	1 000,0	1 000,0	0,0	1 000,0	1 000,0	0,0
	ხარჯები	37 309,0	37 309,0	780,0	37 309,0	37 309,0	780,0
	შრომის ანაზღაურება	2 767,0	2 767,0	0,0	2 767,0	2 767,0	0,0

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაქმებულთა რაოდენობა იყო 1135, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 1138, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 1173.

2018 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის 54% – 27 095 212 ლარი – შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯება.[15] აღნიშნული მონაცემი ბევრად აღემატება ფინანსთა სამინისტროსთვის გადაგზავნილ დოკუმენტში დაფიქსირებულ მონაცემს.[16]

შრომის ანაზღაურებას საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი ხმარდებოდა 2016 და 2017 წლებშიც.[17]

[13] ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის 13 მარტის №08-04/32858 წერილი.

[14] საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018 წლის 2018 წლის 26 მარტის წერილი.
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს 2017 წლის 1-ლი დეკემბრის №397 გადაწყვეტილება.
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 30 დეკემბრის №326 გადაწყვეტილება.

[15] „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2018 წლის 13 მარტის 1073/02 წერილი.

[16] ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის 13 მარტის №08-04/32858 წერილი.

[17] „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2018 წლის 13 მარტის 1073/02 წერილი.



2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგი

2017 წლის მონაცემებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოსავალი ყველა სხვა მაუწყებელზე მეტია და 42 322 355 ლარს შეადგენს. შემოსავლების მხრივ, მის შემდგომ ადგილს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" იკავებს, რომელშიც ერთიანდება 3 არხის – „რუსთავი 2"-ის, „კომედი არხისა" და „მარაოს" შემოსავლები. მას მოსდევს შპს „ტელეიმედი" – 26 857 718 ლარით და GDS – 18 877 088 ლარით.[18]

„თი-ვი ემ-არ საქართველოს" მონაცემებით,[19] საშუალო წლიური რეიტინგით, +18 სამიზნე აუდიტორიაში პირველ ადგილს შემოსავლების მხრივ მესამე ადგილზე მყოფი „იმედი" იკავებს. მას მოსდევს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის ერთი არხი – „რუსთავი 2", რომელსაც მოჰყვება GDS და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მეორე არხი - „კომედი არხი". მხოლოდ ამის შემდეგ მოდის საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის აუდიტორიის წილი 3,63%-ია, ხოლო საშუალო წლიური რეიტინგი – 0.68%.

„კომედი არხი"-ს აუდიტორიის წილი 3,86%-ია, ხოლო საშუალო წლიური რეიტინგი – 0.73%.

GDS-ის აუდიტორიის წილი 5,61%-ია, ხოლო საშუალო წლიური რეიტინგი – 1.06%.

[18] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციულ-ანალიტიკური პორტალის მონაცემები.

[19] http://www.tvmr.ge/ka#!ka/news/60

მეორე ადგილზე მყოფი „რუსთავი 2“-ის აუდიტორიის წილი 26,76%-ია, ხოლო საშუალო წლიური რეიტინგი – 5,04%.

პირველ ადგილზე მყოფი „ტელეიმედის“ აუდიტორიის წილი 28,08%-ია, ხოლო საშუალო წლიური რეიტინგი – 5,28%.



საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტები

2018 წლის საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაწარმოების ბლოკში შემავალი პროექტების ბიუჯეტი საკმაოდ მაღალია:

№	**გადაცემის დასახელება**	**ბიუჯეტი**
1	ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი	896 860
2	მარტივი ლოგიკა	836 660
3	დიდების მუსიკალური შოუ	634 250
4	რეალური სივრცე	464 880
5	რანინა	401 050
6	პროექტი აკუსტიკა	387 075
7	წიგნების თარო	352 400
8	გურმანია	322 812
9	პირადი ექიმი მარი მალაზონია	268 363
10	პროექტი მრავალფეროვნება (ეთნიკური უმცირესობები)	224 000
11	ფერმა	176 158
12	ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ	130 500
13	ელექტროლიტი	90 000
14	ილუზიონი	82 000
15	პროექტი „მათემატიკა“	12 500

ამ გადაცემების საერთო ბიუჯეტი 8 677 625 ლარია, ხოლო ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის საერთო ბიუჯეტი 15 055 633 ლარს შეადგენს. აქედან, რამდენიმე გადაცემისთვის 2018 წელს შრომის ანაზღაურებაზე შემდეგი ოდენობის თანხები დაიხარჯება:[20]

№	**გადაცემის დასახელება**	**ბიუჯეტი**
1	გადაცემები – აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად, კვირის ინტერვიუ, შუადღის გადაცემა და დებატები	196 500
2	კვირის ლოგიკა	264 000
3	გამომძიებელი რეპორტიორი	133 860
4	საერთაშორისო ამბების მიმოხილვა	120 000

[20] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის №403 გადაწყვეტილება. არ მოიცავს 2018 წლის 02 აპრილს განხორციელებულ ცვლილებებს.

2018 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობა

სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა ბევრია თუ ცოტა, ამის თქმა პირდაპირ შეუძლებელია, თუმცა, შესაძლებელია, შევაფასოთ ამ თანხის რელევანტურობა დამდგარი შედეგისა და სახელმწიფოს მხრიდან სხვა დაწესებულებებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის ფონზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 2018 წელს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები განხორციელდა.

2018 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოყოფილი თანხა დაახლოებით 12 მილიონით მეტია 10 საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის გამოყოფილ თანხაზე.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოყოფილი თანხა
დაახლოებით 12 მილიონით მეტია 10 საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის გამოყოფილ თანხაზე

სსიპ



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2018 წელს 7 უწყების წლიური ბიუჯეტი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სახელმწიფოდან გამოყოფილ ბიუჯეტს უტოლდება.



გარემოსდაცვით ზედამხედველობაზე, დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბებასა და მართვაზე, სატყეო სისტემის ჩამოყალიბებასა და მართვაზე 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჯამური თანხა 16,5 მილიონით ნაკლებია საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სახელმწიფოდან გამოყოფილ ბიუჯეტზე.

გარემოსდაცვით ზედამხედველობაზე, დაცული ტერიტორიებისა და სატყეო სისტემის ჩამოყალიბებასა და მართვაზე 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჯამური თანხა 16,5 მილიონით ნაკლებია საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოყოფილ ბიუჯეტზე



2018 წელს სახელმწიფოს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საზოგადოებრივი მაუწყებლის შენახვაზე თითქმის 5 მილიონით ნაკლები უჯდება.



ტუბერკულოზის, C ჰეპატიტის მართვის, ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობისა და აივ-ინ-ფექცია/შიდსის მართვისთვის 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა გაცილებით ნაკლებია საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოყოფილ თანხაზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 26-ჯერ აღემატება ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურებისთვის გამოყოფილ თანხებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა გაცილებით დიდია, ვიდრე სასწრაფო, გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირებისთვის, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებისთვის, სამეცნიერო კვლევისა და სამხედრო მრეწველობის განვითარებისთვის, სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობისთვის, პროფესიული განათლებისა და პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები.

2018 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფისთვის, აგრეთვე, კულტურასა და სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერისთვის ერთობლივად გამოყოფილი თანხა 10 მილიონით ნაკლებია საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსებაზე.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის ყველა მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ჯამური თანხა 6 130 000 ლარია, რაც დაახლოებით 8,5-ჯერ ნაკლებია საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოყოფილ სახელმწიფო დაფინანსებაზე.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 29 მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი ტრანსფერი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სახელმწიფოდან გამოყოფილ თანხაზე ნაკლებია:

1.	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	85 000
2	ონის მუნიციპალიტეტი	3 055 400
3	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	2 828 500
4	მცხეთის მუნიციპალიტეტი	2 923 000
5	თიანეთის მუნიციპალიტეტი	3 372 800
6	დუშეთის მუნიციპალიტეტი	3 615 900
7	ახალგორის მუნიციპალიტეტი	2 413 300
8	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	2 095 700
9	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	190 000
10	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	215 000
11	ასპინძის მუნიციპალიტეტი	526 000
12	ადიგენის მუნიციპალიტეტი	3 377 500
13	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2 260 400
14	წალკის მუნიციპალიტეტი	1 092 600
15	დმანისის მუნიციპალიტეტი	3 881 200

16	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	260 000
17	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	305 000
18	თიღვის მუნიციპალიტეტი	1 565 900
19	კასპის მუნიციპალიტეტი	3 721 000
20	ერედვის მუნიციპალიტეტი	1 968 100
21	ქურთის მუნიციპალიტეტი	2 122 600
22	ხობის მუნიციპალიტეტი	2 010 000
23	მესტიის მუნიციპალიტეტი	2 602 100
24	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	2 660 500
25	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	1 002 900
26	ხულოს მუნიციპალიტეტი	1 456 000
27	ყვარლის მუნიციპალიტეტი	3 062 000
28	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	2 792 200
29	აჟარის მუნიციპალიტეტი	1 099 600
		51 571 500

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 29 მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი ტრანსფერი
საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სახელმწიფოდან გამოყოფილ თანხაზე ნაკლებია



შეჯამება

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოყოფილი თანხა, ხშირ შემთხვევაში, სხვა დაწესებულებებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტზე გაცილებით მეტია, მისი არსებობა ქვეყნისთვის აუცილებელია. საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ მაყურებელს მიაწოდოს კომერციულად არამომგებიანი ინფორმაციაც და გაითვალისწინოს ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესები.

განხილული ხარვეზების გამოსასწორებლად, აუცილებელია, სამეურვეო საბჭომ სრულყოფილად და ჯეროვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები, საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა კი, იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე.[21] მნიშვნელოვანია, პარლამენტმაც ეფექტურად განახორციელოს ზედამხედველობა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაზე.

[21] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლი.